



## ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

19 მარტი, 2014 წელი

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლო (შემდგომში „სასამართლო“), წარმოდგენილი სასამართლოს მენეჯერის, გიორგი კოპალიანის მიერ და მეორე მხრივ, შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი უნივერსიტეტის პრორექტორის, სამართლის ფაკულტეტის დეკანის კახი ყურაშვილის მიერ, დებენ წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს (შემდგომში „მემორანდუმი“) და თანხმდებიან შემდეგზე:

### 1. მიზანი

მემორანდუმის მიზანი არის სასამართლოსა და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების, ვადებისა და პირობების დადგენა.

### 2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

#### 2.1. მემორანდუმის შესრულების მიზნით, სასამართლო:

- ა. გამოყოფს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფილ სხდომის დარბაზს უნივერსიტეტის მიერ კონფერენციების, იმპროვიზებული პროცესებისა და სხვა საგანმანათლებლო აქტივობების ჩატარებისათვის;
- ბ. უზრუნველყოფს უნივერსიტეტისათვის ინფორმაციის მიწოდებას სასამართლოში დაგეგმილი საჯარო საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
- გ. უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას სასამართლოს მოხელეებში საქართველოს სასამართლოების შიდა საინფორმაციო ვებ-გვერდის (ინტრანეტის) მეშვეობით;
- დ. ხელს უწყობს უნივერსიტეტს სამართლის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის პრაქტიკის ორგანიზებასა და განხორციელებაში.

2.2. მემორანდუმის შესრულების მიზნით, უნივერსიტეტი:

ა. უზრუნველყოფს სასამართლოსათვის ინფორმაციის მიწოდებას უნივერსიტეტში დაგეგმილი საჯარო საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

ბ. უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ უნივერსიტეტში ინფორმაციის გავრცელებას;

გ. უზრუნველყოფს სასამართლოს ბიბლიოთეკისათვის უნივერსიტეტის გამოცემათა 3 (სამი) ეგზემპლარის მიწოდებას;

დ. უზრუნველყოფს საკუთარი აკადემიური პერსონალის მიერ სასამართლოში კვარტალში ერთი საჯარო ლექციის ჩატარებას აქტუალური სამართლებრივი ან ორგანიზაციული კომპეტენციის შესახებ.

2.3. მემორანდუმის ეფექტური შესრულების უზრუნველსაყოფად სასამართლო და უნივერსიტეტი გამოყოფენ საკონტაქტო პირს.

### 3. დასკვნითი დებულებები

3.1. მემორანდუმი დადებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

3.2. მხარეები თანხმდებიან, რომ მემორანდუმის პირობებს განუხრებლად დაიცავენ, ხოლო დავის შემთხვევაში საკითხს მოაგვარებენ მოლაპარაკების გზით.

3.3. მხარეები უფლებამოსილნი არიან ურთიერთშეთანხმებით შეიტანონ ცვლილებები ან შეწყვიტონ მემორანდუმი.

3.4. მემორანდუმი ძალაში შედის წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2 (ორი) წლის ვადით.

3.5. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.


მხარეთა წარმომადგენლების ხელმოწერები:

გიორგი კოპალიანი



თბილისის სააპელაციო სასამართლო  
სასამართლოს მენეჯერი

კახი ყურაშვილი



თბილისის კუმანიტარული-სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პრორექტორი